



**სააკველაციო
საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე**

თბილისის სააკველაციო
სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატა

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

აკველანტი: შპ60*შპ6A-1

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4 სართული		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპ60*შპ6A-2		
ალტერნატიული მისამართი შპ60*შპ6A-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
	599 90 25 20		greenalt@greenalt.org	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აკველანტის წარმომადგენელი: შპ60*შპ6A-4

ნინო გუჯარაიძე		0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4 სართული		
ირმა მახათაძე		თბილისი, კოსტავას ქ. №76ა, ბ.6		
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: შპ60*შპ6A-5

1.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		1. მარშალ გელოვანის გამზირი #6, 0159, თბილისი		
2.საქართველოს მთავრობა		2. ინგოროყვას ქ.#7, 0114, თბილისი		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპ60*შპ6A-6		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შპ60*შპ6A-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა	

შპ60*შპ6A-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლო დანაბარებულ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი **შპ60'შპ65-9**

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპ60'შპ65-10

გასაჩივრებელი გადაწყვეტილება

შპ60'შპ65-11

სასამართლოს დასახელება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

განმხილველი მოსამართლე:

მერი გულუაშვილი

საქმის ნომერი:

#3/5266-18

მიღების თარიღი:

2019 წლის 17 აპრილი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

შპ60'შპ65-12

სააკველიანი მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება და სააკველიანი სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

შპ60'შპ65-13

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შპ602365-14 შპ602365-15

1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სწორად მიუთითა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 10 აპრილის №2-219 ბრძანების გამოცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღი, რაც არსებითაა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის და შესაბამისად, ამ აქტის კანონიერების შეფასებისათვის, მაგრამ არასწორად დაასკვნა, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გზმ-ს ანგარიშის წინასწარი განხილვის მიზნით წარდგენილი განცხადებისა და საბოლოო გზმ-ს ანგარიშის წარდგენის შესახებ სამინისტროში განცხადების წარდგენის შემდგომ, ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე წარმოებები, არ წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებებს; ისინი ერთიანი, ერთი ადმინისტრაციული წარმოების შემადგენელი ნაწილებია, რომელთა ფარგლებშიც ადმინისტრაციული ორგანო საქმიანობას ახორციელებს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, ასევე მისი გამოცემის მიზნით. საბოლოოდ, კი ამ ადმინისტრაციული წარმოების შედეგს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს, რომ გასაჩივრებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის №2-219 ბრძანების გამოცემის მიზნით, სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 20.03.2017, N5228) განცხადების საფუძველზე, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ანიჭებდა უფლებამოსილებას 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება დაესრულებინა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების საფუძველზე.

სასამართლომ დადგინილად მიიჩნია:

1. რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 20.03.2017, N5228) განცხადების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა გარკვეული მოქმედებები, რაც წარმოადგენს სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, რაც საბოლოო გზმ-ს ანგარიშის წარდგენის შესახებ განცხადების წარდგენის შემდგომ, ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე ერთიანი ადმინისტრაციული წარმოების განუყოფელი ნაწილია. კერძოდ:

სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტმა წერილებით მიმართა ამავე სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის წყლის სამმართველოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს და წინასწარი განხილვის მიზნით გადაუგზავნა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ „გუმათი 1

და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, მისი დამატებით შესწავლისა და მასზე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. ამასთან, დადგენილია, რომ აღნიშნული დეპარტამენტებისა და სააგენტოების მიერ სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გადაეგზავნა შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა სამინისტროს შენიშვნები და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე გათვალისწინების მიზნით, 2017 წლის 10 მაისის N4080 წერილით გადაეგზავნა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“.

2. რომ სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაში, რაც დასტურდება საჯარო განხილვის ოქმზე მისი ხელმოწერით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 20.03.2017, N5228) განცხადების საფუძველზე, 2017 წლიდან დაიწყო სხვადასხვა სახის სამართლებრივი პროცედურების განხორციელება, რაც სასამართლოს მოსაზრებით, სამინისტროს მიერ სწორედ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების) მომზადების მიზნით განხორციელებულ საქმიანობას წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობა კი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების შემადგენელი ნაწილია და მოცემულ შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების წარდგენის შემდგომ მიმდინარე წარმოებისგან განყენებულ პროცესად.

სასამართლომ განმარტა, რომ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონმა (მე-6-8 მუხლები) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სპეციალური სამართლებრივი რეგულაციები დაადგინა, რაც კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგების სპეციალურ წესს წარმოადგენს და რომლის თანახმადაც, ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, დაინტერესებული პირის მიერ ნებართვის გაცემის შესახებ აუცილებელი დოკუმენტაციის, შესაბამისი პროცედურული ნორმების დაცვით მომზადების ეტაპიდანვე, იწყებს ადმინისტრაციული წარმოების პროცესს და ახორციელებს კანონით მისთვის დაკისრებულ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ცალსახად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) მომზადების მიზნით განხორციელებულ საქმიანობას და შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განუყოფელ ნაწილს.

მოცემული სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებში, შეუძლებელია „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გარემოზე

ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი განხილვის მიზნით, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული წარმოება (შესაბამისი პროცედურების დაცვით შენიშვნების მომზადება, გზშ-ს საჯარო განხილვაში მონაწილეობა), განვიხილოთ ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების წარდგენის შემდგომ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებებისგან, მიმდინარე წარმოებისგან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებად, ვინაიდან ასეთი წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ მოქმედებებს შედეგად არ მოყვება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების) გამოცემა, რაც ადმინისტრაციული წარმოების დასრულების ერთერთ შედეგს წარმოადგენს.

ამდენად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გზშ-ს ანგარიშის წინასწარი განხილვის მიზნით წარდგენილი განცხადებისა და საბოლოო გზშ-ს ანგარიშის წარდგენის შესახებ სამინისტროში განცხადების წარდგენის შემდგომ, ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე წარმოებები, არ წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებებს; ისინი ერთიანი, ერთი ადმინისტრაციული წარმოების შემადგენელი ნაწილებია, რომელთა ფარგლებშიც ადმინისტრაციული ორგანო საქმიანობას ახორციელებს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, ასევე, მისი გამოცემის მიზნით. საბოლოოდ, კი ამ ადმინისტრაციული წარმოების შედეგს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს.

სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ფაქტობრივი გარემოებების ამგვარად დადგენა, ანუ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვის პროცედურის სამინისტროს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების მიზნით განხორციელებულ საქმიანობად და შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განუყოფელ ნაწილად მიჩნევა ეწინააღმდეგება სზაკ-ის 2.1 მუხლის "კ" ქვეპუნტის, 73.2, 76-ე, 78-ე, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24.4, 25.1 მუხლებს, "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6, მე-7 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის N154 დადგენილებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-3 სეკუნდა, მე-4 მუხლების მოთხოვნებს. რადგან მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელი, რომელიც არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, ვალდებულია მოაწყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საჯარო განხილვა გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განსახილველად წარდგენამდე - ანუ, საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებასა მოაწყოს საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე. სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის მიერ ამავე სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტისათვის, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსათვის, ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის წყლის სამმართველოსათვის, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსათვის წერილებით მიმართვა და წინასწარი განხილვის მიზნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ „გუმათი 1 და 2“ ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გადაგზავნა განხორციელებულია იმ მიზნით, რომ აღნიშნულ

დეპარტამენტებსა და სააგენტოებს, თავის მხრივ, სამინისტროსთვის გადაეგზავნათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოამზადებდა შენიშვნებს და მოსაზრებებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე. რაც განხორციელდა კიდევ სამინისტროს მიერ 2017 წლის 10 მაისის N4080 წერილით, რომელიც გადაეგზავნა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“.

ამდენად, სამინისტროს ზემოაღნიშნული მოქმედებები წარმოადგენს "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის შემადგენელ პროცედურას, რაც ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად ფორმდება არა სამინისტროს, არამედ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შესაბამისი ოქმით, რომლის შედეგად ხდება გზშ-ს ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბება - ანუ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დასრულების შედეგად საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოებისა და სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობით ხდება არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არამედ, გზშ-ს ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბება, რომელიც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენ განცხადებაზე თანდართულ აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს.

ამ მხრივ, სააპელაციო პალატის ყურადღებას მივაქცევთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შედგა საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პროცესში გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ: გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ხელმძღვანელი, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, სხდომის თავმჯდომარე - სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გარემოსდაცვითი მმართველი, სხდომის მდივანი - სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ ეკოლოგი და საკონსულტაციო ფირმის წარმომადგენელი.

აღნიშნული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია 2017 წლის 21 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ. გვერდზე www.moe.gov.ge, ასევე, გაზეთებში: „რეზონანსი“ და „ახალი გაზეთი“ (27 მარტი - 9 აპრილი 2017 წელი).

"გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობის პროცესში, როდესაც გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომას თავმჯდომარეობს სს "ენერგო პრო ჯორჯია გენერაციის" გარემოსდაცვითი მმართველი, სხდომის მდივანი არის სს "ენერგო პრო ჯორჯია გენერაციის" ეკოლოგი და საკონსულტაციო ფირმის წარმომადგენელი, ამ სხდომაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის დასწრება და ამ საჯარო განხილვის შესახებ სხდომის ჩატარების შესახებ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინფორმაციის სამინისტროსათვის განცხადებით (რომელიც არ წარმოადგენს უფლების მოპოვებაზე დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით სამინისტროში შეტანილ წერილობით მოთხოვნას (სზაკ-

ის 2.1. მუხლის "თ" ქვეპუნქტი)) წარდგენა აღნიშნულს სზაკ-ის 2.1 მუხლის "კ" ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 73.2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ვერ გადააქცევს/გარდაქმნის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციული წარმოებად მისი არ არსებობის გამო.

სზაკ-ის 76.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც განსახილველ შემთხვევაში სს "ენერჯო პრო ჯორჯია გენერაციის" მიერ სამინისტროში წარდგენილია მხოლოდ 2018 წლის 28 თებერვალს (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 2018 წლის 01 მარტი, N2545), სწორედ ამ განცხადების რეგისტრაციიდან დაიწყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის მიზნით.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების მიზნით ცალკე ადმინისტრაციულ წარმოების ჩატარებას, მით უფრო კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მოწყობილი საჯარო განხილვის აუცილებელი პროცედურის ადმინისტრაციული წარმოების განუყოფელ ნაწილად მიჩნევას მოქმედი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ იცნობს, ამავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით. ანუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დასახელებული ნორმა მკაფიოდ განმარტავს, თუ რას ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, განსახილველ შემთხვევაში სამინისტროს მიერ მის დაქვემდებარებაში არსებული დეპარტამენტებისა და სააგენტოებისათვის წერილების და გზშ-ს ანგარიშის გაგზავნა, მათ მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოსადგენად, რომელიც აისახა სამინისტროს მიერ სს "ენერჯო პრო ჯორჯია გენერაციისათვის" 2017 წლის 10 მაისს გაგზავნილ #4080 წერილში ემსახურება გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვას, რომელიც ჩაატარა არა ადმინისტრაციულმა ორგანომ არამედ კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რაც იმთავითვე გამორიცხავს საჯარო განხილვის პროცედურის ერთიანი ადმინისტრაციული წარმოების განუყოფელ ნაწილად მიჩნევას.

მტკიცებულება:

ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:

ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

მ060/მ363-16 მ060/მ363-17 მ060/მ363-18

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შპ60/შპ65-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება განხორციელებულია ცალმხრივად, არასრულად, ტენდენციურად და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, არის ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შპ60/შპ65-20 შპ60/შპ65-21

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის “ა”, ”ბ”, ”გ” და 394-ე მუხლის “ე” და “ე” პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო ნორმების აღწერით, ისე რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები, აქედან გამომდინარე, გაუგებარია გადაწყვეტილებაში

მითითებული ნორმების აღწერის მიზანი და დანიშნულება. გადაწყვეტილებაში ნორმების შინაარსის დაწვრილებით აღწერა არამცდაარამც არ ნიშნავს სასამართლოს მიერ ამ ნორმების გამოყენებას, მით უფრო კონკრეტული სადავო შემთხვევის სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. კანონის მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე იმ ვითარებაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, მოსარჩელე არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, კონკრეტული მტკიცებულების მითითებისა და წარდგენის გზით დაადასტუროს ის გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ანუ დაასაბუთოს თავისი სარჩელი.

განსახილველ შემთხვევაში საქმეზე წარმოდგენილი სარჩელითა და თანდართული მტკიცებულებებით, საპაექრო სიტყვით დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულია და შესაბამისი მტკიცებულებებით დამტკიცებულია მოთხოვნის წარმოშობისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობების დამადასტურებელი რელევანტური გარემოებები, ხოლო შესაგებელითა და თანდართული მტკიცებულებებით არსებითად არ არის შედაგებული სარჩელში მითითებული გარემოებები და არც მოთხოვნის წარმოშობის დამადასტურებელი მტკიცებულებებია გაქარწყლებული. თუმცა, აღნიშნულის შესახებ რაიმე მსჯელობა და დასაბუთება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არ არის, რითაც უხეშად დაირღვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი შეჯიბრობითობის პრინციპი.

5. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას

შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ამომწურავად, სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შესახებ, წარმოდგენილი დასკვნები არის ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი, შესაბამისად არის სრულიად დაუსაბუთებელი მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

6. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი - "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48.1 მუხლი. კერძოდ: სასამართლომ განმარტა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესის შემოღებით, კანონმდებლის მიზანი იყო გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოექცია საქმიანობის განხორციელების განაცხადის მქონე პირთა ის ქმედებები, რომელთაც ახალი კანონის ამოქმედებამდე განახორციელეს (სასამართლომ განზრახ გამოტოვა ამ ნორმის უმთავრესი დანაწესი - 2018 წლის 1 იანვრამდე "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში) კანონითა და ნორმატიული აქტით დადგენილი წესით აუცილებელი მოქმედებები (მათ შორის გზმ-ს საჯარო განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად. საყურადღებოა, რომ სასამართლომ დასახელებული ნორმის განმარტებაში იმიტომ, რომ სხვაგვარად, კანონმდებლობით დადგენილი წესით უკვე მომზადებული დოკუმენტის მფლობელ პირზე (საქმიანობის განმახორციელებელი) ახლად ამოქმედებული კანონის გავრცელება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინების გარეშე, იწვევს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პირის მდგომარეობის გაუარესებას საკუთარი ინციატივით და პასუხისმგებლობით, ნორმის შინაარსის საწინააღმდეგოდ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმით სარგებლობის უფლება აქვს საქმიანობის განხორციელების განაცხადის მქონე იმ პირებს, რომლებმაც 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყეს გზმ-ს საჯარო განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ჩანაწერი ამ ნორმაში არ არსებობს და იგი საქმიანობის განაცხადის მქონე პირთა მდგომარეობით შეჭირვებული საქმის განმხილველი სასამართლოს "ფანტაზიის ნაყოფია" მხოლოდ.

მიგვაჩნია, რომ ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის როგორც საჯარო მმართველობის კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებით, ისე სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებასთან და ეწინააღმდეგება როგორც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, ისე დასახელებული ნორმის მიზანს და შინაარსს. კერძოდ: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია - ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და

ჯანმრთელობაზე; ხოლო, ამავე კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით.

კანონმდებელმა აღნიშნული ნორმით ცალსახად, იმპერატიულად განსაზღვრა, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 2018 წლის 1 იანვრამდე არსებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით გაიცემა მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრამდე "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, რომელიც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება/გამოცემისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იყო დაწყებული 2018 წლის 1 იანვრამდე და არა ნებისმიერი პროცედურის დაწყების შემთხვევაში, რომელიც განხორციელდა საქმიანობის განმახორციელებლის ან თუნდაც სამინისტროს მიერ 2018 წლის 1 იანვრამდე და უკავშირდება საქმიანობის განმახორციელებლის გაუცხადებელ საბოლოო მიზანს.

7. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, ნებართვის ერთ-ერთი სახეა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით, რომლითაც ასევე იმპერატიულად არის განსაზღვრული მათ შორის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. კერძოდ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

8. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის N154 დადგენილებით დამტკიცებული "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 4.4 მუხლი, რომლის თანახმად, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა იწყება ნებართვის მაძიებლის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარდგენის დღიდან და არა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული პროცედურების (საჯარო განხილვის) დაწყების მომენტიდან, რაც გარემოზე ზემოქმედების მქონე საქმიანობისათვის ნებართვის გაცემისათვის კანონით დადგენილი აუცილებელი პროცედურაა და რომლის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელება საქმიანობის განმახორციელებლის და არა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, თანახმად "გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებისა.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში მოწყობილი საჯარო განხილვა და მასში ფართო საზოგადოებრიობის, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობა, ამ საჯარო განხილვის მოწყობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროსათვის განცხადებით შეტყობინება და გზმ-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარდგენა აღნიშნულ საჯარო განხილვას ვერ გადააქცევს ადმინისტრაციულ წარმოებად, ვინაიდან სზაკ-ის 2.1 მუხლის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის არა საქმიანობის განმახორციელებლის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

ამდენად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გასაცემად საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვის მოწყობა, მასში ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, შენიშვნების წარდგენა და მათი გათვალისწინებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების საბოლოო ანგარიშის მომზადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაზღვრული ერთიანი პროცედურის ნაწილია, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ამ პროცედურების დაცვით მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების საბოლოო დოკუმენტი იქნეს წარდგენილი საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში შესაბამისი მოთხოვნით სრულ დოკუმენტაციასთან ერთად და რომ სწორედ ამ დროიდან იწყება ადმინისტრაციული წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების და გამოცემის მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოში.

9. სრულიად დაუსაბუთებელია და დამაჯერებლობას მოკლებული სასამართლოს დასკვნა, როდესაც არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოების „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ნორმების საფუძველზე წარმართვის შემთხვევაში, სამინისტროს მიერ აუცილებლად 2018 წლის 10 აპრილის №2-219 ბრძანებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული და გარემოს ზიანი არ მიადგებოდა.

სასამართლომ განმარტა, რომ შეუძლებელია იმის უტყუარად დადგენა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სამინისტრო ადმინისტრაციული წარმოების „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი რეგულაციებით ჩატარების შემთხვევაში, მით უფრო, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონისგან რადიკალურად განსხვავებულ რეგულაციებს არ ადგენს.

ზემოაღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების მე-20 გვერდის ბოლო აბზაცში წარმოდგენილ სასამართლოს დასკვნას, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით უკვე მომზადებული დოკუმენტის (გზმ) მფლობელ პირზე (საქმიანობის განმახორციელებელი) ახლადამოქმედებული კანონის გავრცელება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინების გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პირის მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევდა, ვინაიდან „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გზმ-ს საჯარო განხილვის მოწყობის, საჯარო განხილვის შედეგების გაფორმებისა და მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით გზმ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების

მიუხედავად, დაინტერესებული პირი იძულებული გახდებოდა თავიდან დაეწყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პროცედურები, თუმცა ამჯერად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით. გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სწორედ, რომ რადიკალურად განსხვავებული, გარემოსა და ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელი და განსხვავებული პროცედურებია განსაზღვრული ახალი რეგულაციებით, აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მიღების ლეგიტიმურ მიზნებს, ვინაიდან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით განხორციელების შემთხვევაში, იგი აუცილებლად დაუდგენდა საქმიანობის განმახორციელებელ პირს შესაბამის დავალებებს, რისი შესრულებაც მას მოუწევდა გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის შედგენისათვის და ანგარიშიც სრულიად განსხვავებული შინაარსით ჩამოყალიბდებოდა, რომლითაც დაცული იქნებოდა გარემო და შესაბამისად ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სწორედ ამ კანონისმიერი ვალდებულებების დაცვისაგან გაათავისუფლა სასამართლომ წინამდებარე უკანონო გადაწყვეტილებით საქმიანობის განმახორციელებელი, რითაც აშკარა და რეალური საფრთხე შეუქმნა როგორც გარემოს ისე ადამიანებს, მათ შორის მოსარჩელის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის მე-4 მუხლით განსაზღვრული წინაპირობები.

10. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა:

- სზაკ-ის 183.1 მუხლი, რომლის თანახმადაც თუ კანონით ან მის საფუძველზე მოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში:

- ამავე კოდექსის 201.3 მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო;

- ამავე კოდექსის 201.4 მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

ზემოაღნიშნული ნორმების დანაწესის საწინააღმდეგოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან არ არსებობს გასაჩივრებული საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის ბრძანება №2-219, ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, ასევე საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე საქართველოს მთავრობის უარის ბათილად ცნობის თაობაზე.

მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სზაკ-ის 7.2 მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.12წ. #ბს-1655-1627 (კ-11),

20.10.10წ. #ბს-342-331 (კ-10)), ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში თვითნებობის, დისკრიმინაციის, დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების, ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შეზღუდული თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმანენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დასკვნებით ცალსახად დასტურდება, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებშია გამოცემული) კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ არ განახორციელა სასამართლო კონტროლი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება, რომლითაც ცალსახად დასტურდება, რომ განსახილველ შემთხვევაში მმართველობის ორგანოს საჯარო საქმიანობაზე სასამართლო კონტროლი სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მტკიცებითი უზამდგომლობები

შპ60/შპ65-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შპ60/შპ65-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

შპ60/შპ65-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შპ60/შპ65-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

შპ60/შპ65-26

სსპა სახის უზამდგომლობები

შპ60/შპ65-27

1. მოთხოვნა
ს
არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

საჩივრის ფასი —

არაქმონებრივი ლარი

შპსი/შპსა-28

სახელმწიფო ბაჟი —

150 ლარი

შპსი/შპსა-29

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადებოზიტო ანგარიშზე: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
5. შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:		

შპსი/შპსა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომაზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	<input type="checkbox"/>	მორიგების პირობები:
არა	<input checked="" type="checkbox"/>	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შპსი/შპსა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შპ60/შპ6A-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთზე მეტი რადგან ეს დრო დასჭირდება მხარის პოზიციის დასაბუთებას.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში საქმის დასრულება გონივრულია.

შპ60/შპ6A-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ6A-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ6A-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60/შპ6A-36 შპ60/შპ6A-37

დანართი 1: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;

დანართი 2: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 3

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეს არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	<p>ნინო გუჯარაიძე აღმასრულებელი დირექტორი ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"</p>	<p>17/06/2019წ.</p>
--	---	---------------------

ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი
-----------	--------------------------	-----------------

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შპს 01/შპს 38